სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N6 ხელშეკრულება

ქ. თბილისი **17 მაისი 2023 წელი**

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ახალგორის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა (ს/კ 436040810; შემდგომში ,,შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, გიორგი მიდელაშვილი სახით და მეორე მხრივ, სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“ (ს/კ 205307960; შემდგომში ,,მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე კუტიბაშვილის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტის ,,ს[1]“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის და სსიპ -საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორის „სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ 2023 წლის ,,ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გაუთვალისწინებელი მომსახურებების გაწევის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ 2023 წლის 2 თებერვლის N EMSC 7 23 00000013 ბრძანების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1. სასწრაფო სამედიცინო მომსახურება (კლასიფიკატორის კოდი: CPV 85143000) კერძოდ, სპორტულ ღონისძიებაზე „შემსყიდველის“ უზრუნველყოფა (საჭიროებისამებრ) სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 960 ლარს, რაც მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.2. შესყიდვის ობიექტის გათვალისწინებული ღირებულება დაიანგარიშება სსიპ -საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორის „სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ 2023 წლის ,,ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გაუთვალისწინებელი მომსახურებების გაწევის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ 2023 წლის 2 თებერვლის N EMSC 7 23 00000013 ბრძანების შესაბამისად და განისაზღვრება შემდეგნაირად:

2.2.1. ღონისძიებაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის დაყოვნების (ლოდინის) ყოველი ერთი საათის ღირებულება შეადგენს - 120 (ას ოცი) ლარს. დაყოვნების (ლოდინის) ათვლა განხორციელდება სასწრადო სამედიცინო ბრიგადის ადგილზე მისვლის დროიდან, სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის წამოსვლის დრომდე (ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად).

2.2.2 მომსახურება განხორციელდება ,,შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულების 8.2.2. ქვეპუნქტისა და ,,შემსყიდველის“ მიერ, სავალდებულოდ შესასრულებელი სტანდარტის (გაიდლაინის) დაცვით.

2.3. გაწეული მომსახურების დეტალები, მოცულობა და ღირებულება დაზუსტდება მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ში.

2.4. სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად, ,,შემსყიდველის“ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

3.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების კონკრეტული ადგილი, დრო და და სხვა პირობები შეთანხმდება

,,მიმწოდებელთან“, ,,შემსყიდველის“ წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ხელშეკრულების 8.2.2. პუნქტით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია:

4.2.1. ნებისმიერი მხარის მიერ, ერთი თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით;

4.2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლის არსებობისას.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ,,შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება ,,შემსყიდველისა“ და ,,მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

5.2. ,,მიმწოდებლის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, მომსახურების გაწევის ადგილზე მყოფი ,,სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ გამოძახებათა მართვის აღმოსავლეთის რეგიონული განყოფილების უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

5.3. ,,შემსყიდველის'' მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ ახალგორის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის გენერალური დირექტორი, გიორგი მიდელაშვილი.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. ,,მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. ,,მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

7.2. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი“ უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შემდგომ შესრულებაზე.

8. მხარეთა უფლება მოვალეობანი

8.1. ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს:

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

8.2. ,,შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.2.2. 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე, წერილობით ან/და ელ.ფოსტის საშუალებით შეუთანხმოს ,,მიმწოდებელს" ღონისძიების ჩატარების ზუსტი თარიღი, ადგილმდებარეობა, დრო და ხანგრძლივობა.

8.4. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია: დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.5. ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს

8.5.1. მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.5.2. ხელშეკრულების 8.2.2. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, უარი თქვას მომსახურების მიწოდებაზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულების 7.3 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის ,,შემსყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისი მომსახურების ღირებულების 0.2% -ის ოდენობით.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა მხარეს არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების გარანტია არ გამოიყენება.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 პროცენტზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება და დამატება ფორმდება წერილობით, შეთანხმების სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია ფორსმაჟორული გარემოებით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „დამკვეთის" ან/და „შემსრულებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს, როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით, ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 24 საათის განმავლობაში.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ,,შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ,,შემსყიდველი“ მხრიდან ახორციელებს ,,შემსყიდველის“ უფლება მოსილი პირი

16. სხვა პირობები

16.1 მხარეების მიერ, ელექტორნული საშუალებებით გაგზავნილი დოკუმენტები იურიდიული ძალის მქონეა.

16.2. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში, მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯით და რისკით.

16.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით შედგენისა და მხარეთა ხელმოწერის შემდეგ.

16.6. ყველა ცვლილება და ხელშეკრულების დამატება, რომელიც გაფორმებულია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

16.7. მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

16.8. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

17. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი“	**,,მიმწოდებელი“**
ა(ა)იპ ახალგორის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა	სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“
ს/კ 436040810	ს/კ 205307960
მის: საქართველო, მცხეთის რაიონი, ს. წეროვანი	მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ტელ: 577 95 32 08	მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707067026
ელფოსტა: makharashvilim@gmail.com	ბ/კ TRESGE22
	ფაქტ. მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №121
	იურ. მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144
	შემოსულობის დასახელება- სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასური

გიორგი მიდელაშვილი

გენერალური დირექტორი

Giorgi Midelashvili 06001006497

Digitally signed by Giorgi Midelashvili
Date: 2023.05.17 15:51:48

ალექსანდრე კუტიბაშვილი

დირექტორი

LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center

Digitally signed by LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center
Date: 2023.05.17 16:08:50 +04'00'